



17.07.2013

პრესრელიზი

გენდერული კვლევის პრეზენტაცია

ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისი „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრთან“ ერთად გენდერული კვლევის პრეზენტაციას გამართავს

17 ივლისს, 12 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში (მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზი) გაიმართება კვლევის - **„გენდერული თანასწორობის საკითხები საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას“** ანგარიშისა და შედეგების პრეზენტაცია. კვლევა ჩატარდა ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „მულტილინგვური განათლების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

კვლევის ანგარიში, რომელიც „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ გამოიცა წარმოადგენს საბაზისო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2012 წელს გრიფირებული და გამოცემული ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები.

პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან: საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, განათლებისა და გენდერის ექსპერტები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენელი და სხვები.

პრეზენტაციის თემაზე მოხსენებას წაიკითხვენ: ნინო გოგოლაძე, ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისში საქართველოს პროგრამის მენეჯერი; ნათია გორგაძე, „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი და განათლებისა და გენდერის ექსპერტები და კვლევის ავტორები: ირმა ხომერიკი, მანანა ჯავახიშვილი, თამარ აბრამიშვილი.

მომხსენებლების გამოსვლის შემდეგ, ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდება და დისკუსიით დასრულდება.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ჯაჭვაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

595 511050